№ 223 27 ოკტომბერი, ოთხშაბათი. 1866—1882 27 ოკტომბერი, ოთხშაბათი. № 223.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თვითონ „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| სრულის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

ფასი განცხადებისა:

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

არწრუნის თეატრი

ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

თვალთ-მაქცობა

კომედია 2 მოქმედებად.

II

გულმა იგრძნო

ვოდევილი 1 მოქმედ.

III

დედა და შვილი

დრამატ. სცენა 1 სურათ. ლექსად, თ. ი. ჭავჭავაძისაგან.

დასაწყისი 8 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

კაირი, 25 ოკტომბერს. ოფიციალურის ცნობებით მტკიცდება მექკაში ხოლერის გაჩენა.

პეტერბურღის ბირჟა, 25 ოკტომბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 95 — |
| მეორესი — — — — | 90—75 |
| მესამესი — — — — | 91 — „ |
| მეოთხესი — — — | 90—62 |
| მეხუთესი — — — | 90—25 |

| | |
|---|---|
| აღმოსავლეთის პირვ. — | 88—50 |
| აღმოსავლეთის მეორე | 88—37 |
| აღმოსავლეთის მესამე | 88—50 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8—19½ |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 209—75 |
| მეორე სესხის — — | 203—25 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24— 9 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205—12 | ცენტი |
| პარიჟი — — | 253—75 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## ტფილისი

ორშაბათს, 25 ოკტომბერს, ქალაქის რჩევაში იყო დანიშნული სხდომა და სხვათა-შორის სადგომების გარდასახადის შესახებაც იყო მოლაპარაკება. ხანგრძლივის ბაასის შემდეგ გარდასწყდა, რომ ამ საქმის გადაწყვეტა შეაჩერონ, სანამ საზოგადო დაფასება არ მომხდარა ყველა შენობათა ქალაქში.

***

მოგეხსენებათ, რომ, ზოგიერთ პირების თაოსნობით, ჩვენს მხარეში გაიმართა ხელის-მოწერა მიცვალებულ იმპერატორის ალექსანდრე მეორის სახელობაზე უპატრონო ბავშვებისათვის თავშესაფარ სახლის გასამართავად. ამ საგნისათვის, როგორც აღმოჩნდა, დღემდინ 56,000 მან. მოგროვებიათ, რომლის სარგებლითაც უნდა შეინახონ ზემოხსენებული „თავშესაფარი სახლი".

***

ოზურგეთიდამ გვწერენ:

„ამ უკანასკნელის წლების განმავლობაში შეწუხებული და ქურდებ-ავაზაკებისაგან აკლებული გურია დამშვიდდა მას აქეთ, რაც ეს მხარე ბათომს მიაწერეს და იქაურ სამხედრო გუბერნატორმა დაიარა მთელი ჩვენი მაზრა და საჭირო განკარგულება მოახდინა.

„თუ შემდეგშიაც ასე მშვიდობით და შეუშფოთებელად ცხოვრება არ მოგვაკლდა, მოისვენებს ჩვენი მაზრის საწყალი ხალხი და გულ-დამშვიდებით შეუდგება ისევ მუშაობას და ძველებურად მოჰკიდებს საქმეს ხელსა.

„ეს უარემოება, ცხადად გვიმტკიცებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია ხალხის ცხოვრებაში რიგიან უფროსების დანიშვნას და იმის რიგიან განკარგულებას".

***

ჩვენ მივიღეთ მოსკოვიდან ქვემომოყვანილი შენიშვნა:

„ბატ. რედაქტორო! გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენის პატივ-ცემულის გაზეთის შემწეობით გამოვაცხადო, რომ 67 მანეთი და ერთი შაური, შემოსული იმ სპექტაკლიდამ რომელიც გაიმართა ქ. დუშეთს ამ წლის 11-ს ივლისს, მივიღე ბ. მიხეილ ქავლიაშვილისაგან მოსკოვში მყოფ ღარიბ ქართველ სტუდენტების გარდასაცემად.—რისთვისაც უმორჩილესს მადლობას უძღვნის მოსკოვლი ქართველი სტუდენტობა, როგორც ამ წარმოდგენის მოთავეეთ, აგრეთვე იმ პირთაც, რომელთაც იმაში მონაწილეობა მიიღეს."

გრიგოლ ელიავა.

***

ქართული დრამატიული დასი ამზადებს ახალს დრამას, სახელად „სურამის ციხე", რომლის შინაარსიც იმ ისტორიული გადმოცემიდან არის აღებული, რომელიც მოგვითხრობს, რომ სურამის ციხის კედლები იქამდინ ვერ გაამაგრეს, სანამ დედის ერთა ვაჟი ზურაბი კედელში არ ჩაატანეს.

დრამა გადმოღებულია მშვენიერის მოთხრობიდან დანიელ ჭონქაძისა—„სურამის ციხე".

***

კვირას, 24 ოკტომბერს, ჩვენმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა „ორლანი და ლეკვი", 4 მოქმ. კომედია, თ. დ. ზ. ერისთავისაგან გადმოკეთებული. ეს პიესა სამასხარაო და საოხუნჯოა, აზრსაც არ არის მოკლებული, რადგანაც სატირა ზოგი-

---

"დროების" ფელეტონი, 27 ოკტ.

## მამის-მკვლელი

(მოთხრობა *)

ჯერ მზე არ ჩასულიყო, როდესაც მიქერის ტყის ბოლოში, მინდორი მოფენილებულიყო ურიცხვის კარვებით. სხვა-და-სხვა ადგილებში მიგროვილი სალდათები მღეროდნენ და ზარაზანს უკრავდნენ. მზარეულები კეტებით ურევდნენ ვეება ქვაბებს, რომელშიაც მზადდებოდა საჭმელი. ოფიცრები განუწყვეტლივ დარბოდნენ კარვებს შუა და დაჰქონდათ ჯარის უფროსის ბძანება.

თუმცა თქვენ იქ მხიარულებასაცა ნახავდით, სიცილსაცა, ხანდისხან ოხუნჯობასაც გაიგონებთ, მაგრამ პირისახეზედ მაინც რაღაცა მზრუნველების ნიშანი ედოთ და აშკარად ეტყობოდათ, რომ ეს მხიარულება უფრო სხვებისთვის, თავისივე გული გასამხნევებლად იყო, მომხდარი, სანამ გაეწვეულნი ნამდვილის მხიარულებით. ყველას შეამჩნევდით იმ მთრთოლარს მოუსვენებლობას, რომელიც კაცს ეუფლება ბრძოლის მოლოდინი. ყველამ იცოდა, ყველას ესმოდა, რომ ისინი მიდიოდნენ რაღაცა ძნელის საქმისთვის, რომ იმათი მოძრაობა არ გათავდებოდა მარტო უბრალო სროლით და რამდენიმე კაცის მსხვერპლით, მაგრამ რაში მდგომარეობდა ნამდვილი საქმე, ყველასთვის საიდუმლო იყო და იცოდა მხოლოდ ჯარის სარდალმა და კიდევ რამდენიმე იმის დაახლოვებულმა პირმა.

თუმცა ჯარში ამ გადაწყვეტილებაზედ არა იცოდნენ-რა, და ვინც იცოდა ისიც თავის მოვალეობათა სთვლიდა დაემალა, მაგრამ შამილ მაინც ყოველთვისინ პოულობდა საშუალებას, რომ რუსების ყველა მოძრაობა, აზრი და სურვილი შაეტყო. ამის მიზეზით შამილ ყველგან მომზადებული ხვდებოდა და ღირსეულად გამოისტუმრებდა მებრძოლთ, როდესაც რუსებმა ზეჯითად არ იცოდა იმის მოძრაობა, ძალა, სიტყვით დაწვრილებული ამბავი.

ყველანი ემზადებოდნენ მკვირცხლი და ძრიელის ბრძოლისთვის, როდესაც სარდალთან შევიდა დაბარებული ჩერქეზი ათა ქუყო და გამოიჭიმა.

— აა, ბატონო პოლკოვნიკო! მე ძალიან მოხარული ვარ, რომ მოხვედით.

— დავებარებინე, თქვენს ბრწყინვალებას! უპასუხა ჩერქეზმა.

— დიაღ მე მინდოდა ზოგიერთი ადგილების შესახებ მეკითხა თქვენთვის. უპასუხა სარდალმა და მიიყვანა სტოლთან, რომელზედაც გადაშლილი იყო იმ ადგილების კარტა, გამსებულ მძივის სხვა-და-სხვა ფერის ქინძისთავებით უეჭველია ეს ნიშნავდა ჯარის სხვა-და-სხვა ნაწილებს და მოძრაობას, რომელიც იმათ უნდა მიეღოთ.

— იმდენი შეცდომებია ამ ჩვენ კარტებში, რომ კაცს ნაბიჯის გადადგმა ვერ გაუბედნია... თქვენ კარგად იცნობთ ამ ადგილებს, ვერ მიპასუხებთ ზოგიერთს კითხვებზედ?

— რატომ.

— აი დახედეთ... მიიწვია სარდალმა და უჩვენა კარტაზედ:—ჩვენი მარშრუტი ეს არის.

ჩერქეზმა დახედა და კარგა ხანს დააკვირდა სხვა-და-სხვა ფრად დახაზულს ქაღალდს.

სარდალი ასახელებდა ადგილებს:

— აი ეს მინდორია, აქეთ ესა-და-ეს მთა არის, აი აქაც ხევია, ეს ტყე არის,—ეუბნებოდა ის.

ჩერქეზებმა, კარგად ცქერის შემდეგ, თავი აიღო და მოახსენა:

— მე არ მისწავლია, არა მესმის-რა მაგ დაბლაჯილის ქაღალდისა... უბძანეთ ქაღალდი და კარანდაში მომცენ, მე თითონ დაგიხატავთ ჩვენს გზას, მე თითონ დაგიჩვენებთ ადგილებს.

სარდალმა მოაწოდა ქაღალდი და კარანდაში. ისინი დასხდნენ. ჩერქეზმა შეუჩვევარს ხელში აიღო ეს სამხატვრო იარაღი და ხელის ცახცახით გაუსვა რამდენიმე დაკლაკნილი ხაზი.

— აი ჩვენი გზა ეს არის. უთხრა იმან.—სულ ტყიანია, მარტო აი აქ შაგხვდება მინდორი, მერე ისევ ტყე დაიწყობა.. გზის ნაპირს სულ ხევი მისდევს.

— გზაში ისეთი მაღლობი არსად არის, რომ ზარბაზნები გაგვემაგრებინა და იქიდამ ყუმბარები გზას მისწვდომოდა?... მაშინ ჯარი დაფარული იქნებოდა მტრისაგან.

— გარშემო სულ მაღლობებია და მთები, მაგრამ ტყის სიხშირით იქ ზარბაზნებს ვერ გაიტანთ.—ქვეითია კაცსაც-კი გაუჭირდება იქ გასვლა,

*) იხ. „დროება" №222.

ერთს მსაჯულებზედ და ცოლ-ქრმებზედ საკმაოდ სასაცილოდ არის გამოყვანილი. ეს პიესა პირველად არ მიდის ჩვენს სცენაზედ და გარჩეულა კიდეც. მხოლოდ არ შეგვიძლიან პატარა შენიშვნა არ მივცეთ კიდევ მესამე მოქმედების შესახებ. ეს მოქმედება წარმოადგენს მომრიგებელ მოსამართლის კამერას, სადაც მიწვეულნი არიან წაჩხუბებული ცოლ-ქმარი და მოწმეებად: ბიჭი, გოგო, სომეხი, ისიც წაჩხუბული თავის ცოლთან, ამისი ცოლი, ამ სომხისა საყვარელი, შეტიჩარა დედით, მეარგნე, გოგო რომელიც იმასთან დადის მღერობს და ორი ადვოკატი. სუდიას რომელსაც ნარდში წაუგია ოც-დახუთი თუმანი, დაფანტულა, ამთქნარებს და საქმის გარჩევის დროს სულის ფულები ელანდება და განუწყვეტლივ იმაზედ ბოდავს. ხალხი ირევა, ყვირის ჩხუბობს. მოწმები, მომჩივრები, ადვოკატები ერთი მეორეზედ სამასხაროდ არიან გამოყვანილნი მაგრამ ავტორი ამ მდგომარეობით არ დაკმაყოფილებულა და რომ უფრო სამასხაროდ გახადოს ეს სცენა ვიღასაც წამოსცდება: „არგანის საძაგელი ხმა“... ზულ-ნატკენი მეარგნე, რომ დაამტკიცოს თავისი არგნის ხმის მშვენიერება, სამსაჯულოში აჭყვიტინებს არგანს!.. ამავე სცენით თავდება ეს მესამე მოქმედება, როდესაც მსაჯული შემდეგისთვის გადასდებს გარჩევას. ყველანი წამოცვივიან, ყვირიან, ჩხუბობენ და იმათ შუა მეარგნე უწყალოდ აჭყვიტინებს თავის არგანს! ჩვენ ეს ცოტა სცენის საკადრისად არ მიგვაჩნია და ერთობ გადაჭარბებულადა ვხედავთ.

ამ საღამოს არტისტები ჩინებულად თამაშობდნენ თვით ლომიძეც-კი თითქოს თავის როლში იყო. ბ. შიშნიევი კარგი იყო მსაჯულის როლში.

ბ. ნ. ჯორჯაძე ჩინებული იყო, სეკრეტრის როლში, თუმცა ძალიან ცოტა სალაპარაკო ჰქონდა და მარტო მიმიკით უნდებოდა თამაში. ერთს ადგილს ბ. აბაშიძემ ცოტა გადააჭარბა.

ეს მხიარული წარმოდგენა დაბოლოვდა ქ-ბ. ანდრონიკოვის ჩინებულის ლეკურით.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**გორი, 19 ოქტომბერს.** პირველად რომ შეგვესმა გორელებს თვით-სამართველოს გახსნა გორში, სიხარულით ფეხზედ აღარ ვიდექით. ვიხაროდა, მტარვალ დეპუტატებს გადავრჩებით და ახალი თვით-სამმართველო (ხვადა-სხვა სიკეთეს მოგვიტანს-მეთქი.

გაიხსნა 1876-ში თვით-სამმართველოც. გამოგვიგზავნა მაღალმა მთავრობამ ქალაქის თავად I. გ. ელიმირზოვი, ქალაქის კასიდგან ორასი თუმანი ჯამაგირით წელიწადში. შესდგა სამმართველო. ძველი დეპუტატების დრო ჩაილულის წყალს მიეცა თავიანთი ცარცვა-ყვლეფით.

მკითხველს ეგონება, ეს ბატონი, ეს სამმართველო, ეს უმაღლესად ნაბოძები თავი ერთგულად ფიქრობდნენ და ფიქრობენ ქალაქისთვის; მაგრამ, სწორედ რომ მოგახსენოთ, მთელი სამმართველოს მოქმედება ამ ექვს წელიწადში, რუსებისა არ იყოს, ერთ გამოხრულ კვერცხის ნაჭუჭად არა ღირს. ვემდუროდით დეპუტატებს, რომ ქალაქის ფულს უხვად აკმაყუნებდნენ, ზოგი სამუდამოთაც ლუკმა-პურიანი [illegible]; ვემდურებოდით, მაგრამ სამმართველომ ისე გადააჭარბა, რომ ახლა დეპუტატების დროს ვნატრულობთ. შევპოტნებთ ღმერთს, რა შევცოდეთ ისეთი, რომ სამმართველოს ხელით გვახრჩობს.

ჩვენ, გორელებს, ისრე დაგვემართა, როგორც ერთ მეწისქვილეს რომელმანც თავის მუშტარი შეაწუხა, საფქვავის დაყრა არ უცდიდა ხალხს, წინათ უნდა მინდი აელო. ეს რომ მოკვდა, შვილი დადგა, ამან ისრე შეაჯერა ხალხი, რომ ურემზედვე სთხოვდა ხალხს მინდსა და ერთ დღეს სანთლებით გამოვიდა ხალხი პირველის მეწისქვილის საძებნელად.

მე და ჩემმა ღმერთმა, საქმემ ისრე მიახწია, გორელებსაც ჰმართებთ ეხლა ძველი დეპუტატების დროის ძებნა ამისათვის, რომ მართალია იმათ გაკვრა-გაგლეჯაზედ ეჭირათ თვალი, სწორე ანგარიშები არა ჰქონდათ, მაგრამ სამაგიეროდ ქალაქის მორთვა და გამგეობა, რაც კი მინდობილი ჰქონდათ, ერთგულად ასრულებდნენ. ეხლანდელს სამმართველოს, მართალია, წმინდა ანგარიშები აქვს, წითელ-ყვითელ დავთრებით შკაფები სავსეებია, შემოსულს თორმეტ კაპეიკს ხუთ ალაგას სწერენ და მთელი დღე ამ თორმეტ კაპეიკზე ალამებენ; მაგრამ ამ მცირედი საქმეების გასაკეთებლად, სწორეთ რომ იტყვიან, [ნიჩბით ხვე]ტენ ფულს: ორასის მაგიერ, ორიოდე ხმოვანის წყალობით, სამას თუმანს ჯამაგირს იღებს თავი და საქმე კი, როგორც ვსთქვი, არა გვიკეთებდა-რა. და რომელიმე ხმოსანმა რომ ქალაქის გამშვენიერებისთვის ხუთი თუმნის დახარჯვა ითხოვოს, ისიც გამგეობის ხელით, ქალაქის თავი წუწუნში და ქადაგობაში სულს ამოირთმევს:-არა გვაქვსო! უცხომ რომ ნახოს ამის წუწუნი, ეგონება თითქო თავის ჯიბიდამ აძლევსო. რატომ თავის ჯამაგირის მომატებაზედ არ წუწუნობდა, ხომ იცოდა, რომ რეგვენი ხმოვანები ცარიელი კასიდამ უმატებდნენ ას თუმან ჯამაგირს?! ამისთანა საქმეზედ კი ასე გულ-გრილი გახლავს ჩვენი თავი და თუ იმას სთხოვენ, რომ ესა და ეს მწერალი ლამაზათ ჰკინძამს საქმეებსაო, შკაფებში „დელოებს“ ხატებივით დაასვენებსო, მაშინ ათას ჯერ მუხლს მოუყრის, ოღონდ ამის საქმეები ლამაზის ჩართულის ხელით ჰქონდეს გადაწერილი, რიგზე შკაფში მიწყობილი და ქალაქი კი, ისეც წყალწაღებული, წყალმა ზიდოსო. ქალალდზედ კარგად იქნება ნაჩვენები და რას დასდევს!

ჩემი წერილი სიმაგრისთვის ორიოდე მოქმედება ამათი მინდა გავაცნო მკითხველს:

ყოვლად ღარიბმა ასლანა აგანაშვილმა და აბრამა აბუაშვილმა ქალაქისგან იქირავა ხუთ-ხუთი კვადრატიანი საჟენი ალაგი, სადაც ლიახვი ბრაზით სცემდა თავის შეუბრალებელ ტალღებს და ნახევარიც წაიღო ამათი

---

არამც თუ ცხენების გაყვანა და ზარბაზნების გატანა შეიძლებოდეს.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ჩერქეზმა დაარღვია:

— ჯოჯოხეთი ადგილია, ჯოჯოხეთი, თქვენო ბრწყინვალეებავ!

— მე არ მეშინიან!.. ამ ჯარით მთელს ოსმალეთს გადავაბრუნებ, არამც თუ ჩეჩენს და დაღესტანს!. ამაყად უპასუხა სარდალმა.

— ბრაბეც აგრე ამბობდა, გაფიქრა ჩერქეზმა და მერე ხმა მაღლად წარმოსთქვა:—ბუნებასთან არა გაეწყობარა.

სარდალმა უსიამოვნოდ შეხედა.

— ბ. პოლკოვნიკო, მე გამიგონია ჩერქეზნი გულადნი არიან, თქვენ მალე შეგშინებიათ?

— მე არ მეშინიან, თქვენო ბრწყინვალებავ!—თუ გნებავსთ მიბძანეთ და მარტო მე გიახლებით ჩეჩნებზედ, მაგრამ მართალს-კი ყოველთვისინ მოგახსენებთ. წყნით წარმოსთქვა ჩერქეზმა.

— მართალს, მართალს, მე არ მინდა შენი მართალი!.. მე დაგიმტკიცებთ, რომ ეს უკანასკნელი ბრძოლაა შამილთან. იმას ჩვენ დავატყვევებთ.

— ღმერთმა ბძანოს! ეჭვნეულად უპასუხა პოლკოვნიკმა:—მე დღესრულის სამსახურში ვარ, და ჩემი სურვილიც ეგ გახლავსთ!.. ხომ აღარას მიბძანებთ.

— არა! შეგიძლიან წახვიდე.

ჩერქეზმა თავი დაუკრა და გამოვიდა.

დანარჩენმა დღემ მზადებაში გაიარა. იმოდვენი ხალხი შეყრილიყო, მტერი მოყვარეს ვეღარ იცნობდა.

აქ იყო: ჩერქეზი, ქართველი, ოსი, იმერელი, რუსი, თათარი და ეს ყველა ერთმანერთში ირეოდა, ყველა ემზადებოდა ღენერალობის მიღებას, ყველა გამდიდრებას. აქ ყველა საჩუქრის მისაღებად წამოსულიყო, ყველა ბედნიერებას მოელოდა. ძნელად იპოვებოდა ისეთი პირი, რომელსაც გულში სამშობლოს სამსახური და სახელი სდებოდა გულში*).

ღამემდა ჩამობნელდა და აქა-იქ გაჩაღდა ცეცხლები, რომელიც შორიდგან მბრწყინავს ვარსკვლავებათ მოჩანდა. დაჰკრეს ზორი და ნელნელა ფეხის ხმა მიწყნარდა. სიჩუმეს მარტო ცხენების ჭიხვინი და ყარაულად მოსიარულე სალდათების წ..ლების ტყაპა-ტყუპი დაარღვევდა.

ჯარის გარს შემორტყმული „სეკრეტები“, ჩამსხდარიყვნენ განგებ ამოთხრილს ორმოებში და იქ სულ განაბულნი ელოდნენ თავიანთ გამოცვლას. ყაზახების პიკეტები კარგა დაშორებული გზას და ჯარს, ჩაწოლილიყვნენ მაღალს სიმინდებში, სადაც დაჩვეული ცხენებიც გვერდს მოეწვინათ და მთლად სმენად გადაქცეულიყვნენ, რათა არავითარი ხმაურობა არ გამოჰპარვოდათ.

არ გაიარა რამდენიმე ხანმა, როდესაც ტყიდგან, წყნარად და სიფთხილით ხუთი კაცი გამოვიდა და აიტუზა ხევებთან. იმათაც თავის მხრით სული გაენაბათ და ყურ დაცქვეტილები სმენად გადაქცეულიყვნენ. შექველია მკითხველები მიხვდებოდნენ, რომ ეს ჩურა, იაგო და იმისი ამხანაგები უნდა ყოფილიყვნენ.

— მშვიდობიანობაა! წყნარად წარმოსთქვა ერთმა.

— მაშ წავიდეთ. უპასუხა მეორემ.

რამდონიმე გადახტომის შემდეგ, ისინი შაეფარნენ სიმნდების მაღალ ტაროებს. იქიდგან იმათ გასწიეს ისეთივე სიფთხილით და აუჩქარებლად. ერთბაშად მოწინავე შეზდგა და ხელის უკან გამოშვერით შეაყენა სხვებიც.

— რაი ანბავია? ნიავსავით ჩუმის ხმით ჰკითხა იაგომ.

— სუსსს!.. ჩუმადვე უპასუხა ელბერდმა, რომელიც თან წამოჰყოლოდა ამ თავ გადადებულს ხალხს.

მართლათაც ეჭირებოდათ ეს გაფთხილება, რადგანაც იმ წუთში, რამდენიმე ნაბიჯზედ ცხენმა დაიჭიხვინა. ისენი თავს წასდგომოდნენ სადარაჯოთ გამოსულს ყაზახებს.

მოუსვენარს ელბერდს და იმის ამხანაგებს, მოსწყენოდათ სანგალზედ ლოდინი და წამოსულიყვნენ, რომ ეხელავათ რამე, თუ იღბალი შეეწევა, მაგრამ პირველსავე ნაბიჯზედ ისინი თავს წასდგომოდნენ ყაზახებს.

იმათ დაიწიეს უკან, რათა ასცდნენ ყაზახებს, ჩავიდნენ ხევში და მიახლოვდნენ ჯარს იმ მხრიდგან, სადაც არტილერიის ცხენები, დაბმულნი ერთს გაბმულს თოკზედ, მშვიდობიანად თივასა სჭამდნენ. იმათ მოაძრეს წყნარად და სიფთხილით პალოები, რომელზედაც თოკი იყო გაჭიმული, წყნარად გააბრუნეს გათქვირებული ცხენები ჯარისკენ და მოულოდნელად თოფების სროლით დასჭყივლეს ცხენებს, რომელიც დაფთხნენ, ჭიხვინით და ტლუნკების სროლით წავიდნენ მძინარა ჯარზედ; თითონ გაცვივნულები-კი გამობრუნდნენ და რბოლით გამოემართნენ ტყისკენ.

გავარდა თოფი, მეორე, დაჰკრეს ბარაბანს, გარნისტები მისცვივდნენ საყვირს და მთელი ჯარი დარწმუნებული, რომ ჩეჩნები დაეცნენ, აირევა ერთმანერთში. დამთხალი ცხენები, ამ ყიჟინაზედ და თოფის სროლაზედ უფრო მეტად გადაირივნენ და თითონ ჯარიც გადაირია. ყვირილი,

*) იხილე იმ დროს აფიცრების სამსახურზედ და სურვილზედ ზისერმანის თხზულება ნაწ. 2.

ჩაქოხილი ოთახები. ამ მიზეზებით ამათ ქირა ვადაზედ ვერ წარადგინეს ქალაქის ხაზინაში და ამისათვის თავმაესენი კინაღამ დაარჩო: ნატარიუსებით და სუდით სდია, მუქარებს და თითის ქნევას ხომ ნუღარ იტყვით. ერთხელ, ბ. თავი რომ ავანაშვილს სტოლზედ თითს უბრახუნებდა, თურმე ზალიდგან მაყურებლებს ეგონათ, კარ-შეკეტილში ვისმე დიდ კაცს უყვირისო და კარი რომ გაიღო, ღარიბი და უენო ავანაშვილი გამოვიდა გადაფითრებული.

ჰმართებს ქალაქის თავს მცირედი მამულისთვისაც იზრუნოს, მაგრამ მარტო ღარიბებს და გროშიან საქმეებს არ უნდა სდიოს; როცა მდიდრებსაც ასე მკაცრად მოექცევა, მაშინ დავაფასებთ მიშრომას.

ოთხ ძმათ აივაზოვებს, რომ ქალაქის ოცი დღიური მიწა უჭირავთ, შიგ შენობები აქვთ გამართული და გაშენებული ვენახი, რომლების ხელწერილიც უპრავაში ძევს, რომ ის ადგილი ქალაქს ეკუთვნის, რატომ ამათ არა სდევს, რატომ გაჩუმებულა ამ ძვირფასი მამულისთვის? ესენი ღონიერი ხალხნი არიან და ხუმრობა ხომ არ არის ლომების შეჭიდება.

მეორე უპირველესი და შესავლიანი მუხლი აქვს ჩვენ ქალაქს უძრავი მამულების დაფასების შემოსავალი. ამ ოთხის წლის წინათ ამოირჩიეს დამფასებელი კამისია. ეს ბატონები ის პირნი გახლდნენ, რომ ჰკითხოთ ქალაქისთვის დღე და ღამ ზრუნავენ. ამათ ათრიეს ეს საქმე და დაადგეს შეუსრულებელი, რომლითაც ქალაქს წლიწადში ათას თუმნამდინ ზარალი მისცეს. ახლა წარსულ წელიწადს, დეკემბრის თვეში, მეორე კამისია დანიშნეს. ზოგ-ზოგმა ამ კომისიის წევრთაგანმა კიდეც გაათავეს და ზოგი ყურს არ იბერტყს და, როგორც ეტყობა, წრეულაც შეუსრულებელი დარჩება და ქალაქის თავს-კი სძინავს. ვკითხავთ თავს: სხვა კიდევ აქვს ამისთანა ქალაქის სასარგებლო საქმე? ამისი უდიდესი საქმე და უპირველესი ის გახლავს, კანცელარიაში ჩუჩქნოს და ნაბუშვრების გასაზდელი რომ სამ მანეთს არის მისაცემი ძიძებთან, ათს დავთარში გაატაროს. პარზედ ხომ, ღმერთმა დაიფაროს, არ გამოიხედავს, სამმართველოს და ალიხანოვის სახლს ზემოთ, აღთქმა აქვს, რომ არ გაიაროს! თუ კაცია, ერთხელ დაუთვალიერებია სასწორი, ქუჩები, ქალაქის ადგილები თუ სხვა. ჩუჩქვნა და ღრუტვნა ქაღალდებში კუჭს არავის გაუძღობს, საქმე ქაღალდით არა კეთდება, საქალაქო საქმეებს ეჩქარება და ეს კი ათს დისტანციას გაატარებს შესრულებამდინ. ქალაქის ადგილზედ აგერ რამოდენი ხანია ვადმოიტანა შენობა ქალაქის პრისტავმა ბ. მ. ზვარამაძემ,—რატომ ამას არ ეუბნება ბ. თავი აღებას? როცა ესეც ქვემოკლიძესავით შენობას ჩაჰყრის, შიგ დადგება, მაშინ მოჰყვება ფაფხურს, მაგრამ სიკვდილის შემდეგ სინანული გვიან ღა ხოლმე. აბა, ვისმე ღარიბს გაებედნა ამ საუკეთესო ადგილზედ რისმე დადგმა, თუ აქნობამდე კუდამდე ტყავს არ გააძრობდა. მაგრამ ბ. თავი პატარა კაცია და მხოლოდ დაბალ ლობეებზედ შეუძლიან ხტუნაობა...

ახლა ყასბები ავიღოთ: ამისთანა საქონლის სიიეფე მგონი ჯერ არ მოსწრებია. მთა წელს დაიმშა მოუსავლობით და ოსები იაფად ჰყიდიან ყველა ნაირ პირუტყვს. ვინც არა მგონია ყასაბია ეხლა ზორში იმიტომ რომ ხელს აძლევს. ბ. ქალაქის თავი ამას ვერ ხედავს, ან საიდამ დაინახავს, როცა არაფერს დაეძებს, რადგან თითონ პოლკის ექიმთან ცხოვრობს და კარგი ხორცი აქვს და ჩვენ კი ამისთანა დროში ამ თვეში 15 დღეს საქონლის ხორცი არ გვიჭამია.(?)

ქუჩებსაც ძველად პოლიციამ დააგო ქვა, მას აქეთ ქალაქის თავს ერთი ქვა არ გამოუცვლია; ოღრო-ჩოღრო, წუმპეები, გუბეები. მაგალითად ობოლონსკის სახლთან მუდამ გაუვალი გუბე სდგას; პაროში მაინც დასდგან, მტკვარზედ მაინც არა ვარგობს ბორში და ამ სახლთან მაინც ამოათრიონ, იმისთვისაც კარგია, რადგან იმასაც ეს გუბე აქვს გასავლელი.

მაგრამ, ეჰ, ყველას ვინ მოსთვლის!

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** მოძრაობა საფრანგეთში თითქმის დღე-დღეზედ ძლიერდება. როგორც ტელეგრამებმა გვაცნობეს, წინაზედ ამ მოძრაობამ თავი იჩინა ქ. მონსო-ლე-მინში, სადაც აუარებელი მდაბალი—ხალხი სცხოვრებს, რადგან ეს ქალაქი სხვა-და-სხვა ქარხნებითაა სავსე. ეს მოძრაობა უმთავრესად მიმართ[illegible] კაპიტ[illegible]ისა, მდიდრებისა და [illegible]. ზემო-ხსენებულ ქალაქში განიზრახეს ეკკლესიების დაქცევა დინამიტით.

მმართებლობა თავ-გამოდებით მოქმედებს, რასაკვირველია, რესპუბლიკალურ გაზეთებთან ერთად, რომ ენერგიულის მოქმედებით შეაფერხოს ეს მოძრაობა. იგზავნება ჯარები იმ ქალაქებში, სადაც უფრო გაძლიერებულა მოძრაობა, რამდენიმე პირი, მოთავეებად ცნობილნი, დაატუსაღეს კიდეც, მაგრამ რევოლუციონერებს ამით ვერ აშინებენ, რადგან ამათის რწმუნებით, მუშა-ხალხის თანაგრძნობაა მათკენ. ზოგიერთი გაზეთებიც ხელს უწყობენ თითქო ამ მოძრაობას. როშფორის გაზეთმა გამართა ხელის-მოწერა დატუსაღებულ რევოლიუციონერებს ოჯახებისათვის.

რევოლიუციონერები უფრო ხშირად დინამიტით (ასაფეთქი წამალი) მოქმედებენ. თან-და-თან ისე ძლიერდება ეს მოძრაობა, რომ ეხლა ის რესპუბლიკური გაზეთებიც შეაფიქრა, რომელნიც ამ მოვლენას დღემდის უბრალოდ ხადიდენ და სიცილით ეგებებოდნენ.

ზოგიერთ პირებს დატუსაღების დროს აღმოჩენილა, რომ არის ერთი საიდუმლო საზოგადოება, რომელიც იბრძვის ყოველივე საკუთრების დასარღვევად და ეს საზოგადოება, რომლის წევრებად ითვლებიან ბევრნი მეთაურნი ნიგილიზმისა იმყოფება ჟენევაში.—ერთს ფრანცუზულ გაზეთში დაბეჭდილია მანიფესტი, რომელიც

---

ღრიალი, ლანძღვა, თოფის სროლა, საყვირისა და ბუკის ხმა ისეთს ხმაურობას და ისეთს არეულობას ახდენდა, რომ კაცს ჭკუიდან შეშლიდა.

დილამდის ისეთი არეულობა იყო ამ ჯარში, რომ მეორეთ მოსვლასა ჰგვანდა, მხოლოდ დღემ აღმოაჩინა, რომ არეულობის მიზეზი ცხენები ყოფილიყვნენ და ამ არეულობის მსხვერპლად რამდენიმე ათი კაცი შექნილიყვნენ. კიდევ იღბალი, რომ ადგილობრივი მილიციას ერთი მხარე ეჭირა, სრულებით მოპირდაპირე, საიდგანაც ცხენები დაფრთხა, თორემ ტანისამოსის გამო იმათ, ჩეჩნებში ვერ გამოარჩევდნენ, უეჭველად მტერი ეგონებოდათ და დაუწყებდნენ უწყალოდ ქლეტას *).

მეორე დღეს რუსები მარხავდნენ თავიანთ დახოცილებს და ემზადებოდნენ გადაეხადათ ჩეჩნებისთვის ამგვარად მასხარად აგდება; იაგო და იმისი ამხანაგები-კი სიცილით უამბობდნენ ნაიბს „ჩახს" წუხანდელს ამბავს.

დილით ადრიან დაჰკრეს ბარაბანს და გავიდა მოწინავე ჯარი, რომელსაც გზა უნდა გაეწმინდა უმთავრესის ჯარისთვის და ეს-კი ფეხით-ფეხს უნდა მიჰყოლოდა იმათ; ამათაც უკანა ჯარი ბარგი-ბარხანით არ უნდა მოშორებოდა.

მოწინავე ჯარს სარდალი იმ გვარი შეხვდა, რომელმაც, რაკი ერთხელ გზას გაუდგება, უკან მოხედვა აღარ იცის და ამისთვის პირველი სანგლის მიღწევის უმალ, იმან დაიწყო ჯარი და მიიტანა ორჯელ იერიში, რომელიც ორჯელვე უკან გამოაბრუნეს სროლით და ყიჟინით; მესამე იერიშზედ, ჩეჩნები ბრძანების უმალ გაიფანტნენ ტყეში და გზა დაანებეს იმ ჯარს, რომელმაც ჩქარის სიარულით გასწია წინ და ამავე გვარად აიღო მეორე სანგალი. გაზვიადებული ჯარის უფროსი, ამ გვარის გამარჯვებით, თუმცა იმის ჯარს მრავალი ხალხი აკლდებოდა ყოველ იერიშის მიტანაზედ, ყველა სანგალის აღებაზედ, უკან მოუხედავათ წინ მიიწევდა და სანამ ის მეორე სანგალს იღებდა, პირველს სანგალს ისევ ამაგრებდნენ ჩეჩნები; ერთხელ აღებული სიმაგრე ხელ-ახლად უნდა აეღო უმთავრეს ჯარს. და ამ გვარად რუსებს ერთი-ორად ჯაფა უნდებოდათ, ერთი-ორად ხალხის მსხვერპლი.

ამის გამო მოხდა რომ როდესაც მოწინავე ჯარი, გაამპარტავნებულის და გაზვიადებულის სარდლით დანიშნულს მინდორზედ გავიდა, უმთავრესი ჯარი ტყის შუა ადგილს დიდს გაჭირვებაში იყო და გზის სივიწროის გამო ზოზინით და ტატით მიბობლამდა. არ გაიარა რაოდენიმე ხანმა, როდესაც უმთავრესს სარდალს შეატყობინეს, რომ უკანა ჯარს და ბარგს დაეცნენ ჩეჩნები და თუ არ მიეშველნენ ბარგი მთლად დაეკარგებოდათ. ამისთვის ჯარს შეჩერება დასჭირდა და მიშველება ბარგისა, რომელიც ნახევარზედ უმეტესი ჩეჩნებს წაერთვათ, სანამ უმთავრესი ჯარი ხელს მიაწვდიდა და ურიცხვი ხალხიც გაეწყვიტათ.

მოწინავე ჯარის სარდალმა რა ნახა რომ უმთავრესი ჯარი არსად არის, ის გონს მოვიდა და გამობრუნდა უკან, მაგრამ გულ-გასახეთქად დაინახა, რომ წეღან აღებული და დანგრეული სანგლები, ისევ გაუმაგრებიათ და ხელ-ახლად შრომა უნდებოდა იმაზედ, რაც ერთხელ გაკეთებული იყო.

ის წამოვიდა უმთავრესს ჯარისკენ, მაგრამ პირველს სანგალს ველარ გამოაღწია და ნება-უნებლივ გამაგრდა მინდორზედ.

სამი დღე და ღამე ამ ჯოჯოხეთს ალაგს და ჯოჯოხეთის ცეცხლის შუა ჰყავნდათ უმთავრესი ჯარი და მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწიევს მინდორს, სადაც ამოსუნთქვას მაინც არის მოელოდნენ; მაგრამ ვაი იმ გასვლას! ბევრის დედა აატირა, ბევრი თავმომწონე ბიჭი აკვნესა და მშობლის სახელთან ერთად სული დაალევინა, მტრის ტყვიამ. ნახევარი ბარგი და თითქმის მეოთხედი ჯარი დარჩა იჩქერის ტყეში და უმთავრესს სარდალს-კი მოაგონდა ჩერქეზის სიტყვები, რომელიც ისე გონივრულად ურჩევდა, რომ ამ ტყეში არ შესულიყვნენ, მაგრამ გვიანღა იყო! ისინი გავიდნენ მინდორზედ, სურსად შემოკლებულნი, ნახევარ ბარგ დაკარგულნი; წინ და უკან უდაბნო ტყე, გამაგრებული ისე ძნელად ასაღების სანგლებით და ჩეჩენთ გაუტეხის გულადობით!..

გავიდოდნენ-ღა უკან? კიდევ ეღირსებოდათ თავის სახლობის ნახვა?—ეგ მარტო ღმერთმა იცოდა და შემთხვევამ, იქ მყოფებს-კი იმედი ჰქონდათ გადაწყვეტილი.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

*) ბევრი მაგალითები ყოფილა, როდესაც ჩვენი მილიცია მტრებად მოსჩვენებია რუსის ჯარს და იმათვის დაუშენია თოფები.

მიუღია ანარხისტების ლიგას (საზოგადოება) ჟენევაში.

—

**ეგვიპტე.** ინგლისის მმართებლობამ საჭიროდ დაინახა, რომ არაბი-ფაშას და სხვა მოჯანყეთ, რომელნიც ამასთან დაიჭირეს, ვექილებად ინგლისელებთაგანნი დაუნიშნონ, მსაჯულები კი ეგვიპტელები იქნებიან. ეს აზრი უკვე სისრულეშიაც მოიყვანეს და ამ ჟამად რამდენიმე ინგლისელ ადვოკატებს მოლაპარაკება აქვთ გამართული არაბისთან და იმის მომხრეებთან. საჭიროდ დაინახა აგრეთვე ინგლისის მმართებლობამ, დაბოლოებამდის ისე წაიყვანოს მსვლელობა ამ საქმისა, რომ დამნაშავეთ (არაბიმ და სხვ.) არ იცოდნენ, თუ რა სასჯელი მოელის მათ; დამნაშავენი დაიმედებულნი იყვნენ, რომ სიკვდილით დასჯა არ მოელისთო მათ. ესე იმიტომ უფრო ჰსურთ წაიყვანონ საქმე, რომ დამნაშავეთ სასამართლოში არ ახსენონ ხონთქრის სახელი, როგორც ქომაგისა, ეგვიპტის არეულობაში. ამ მიზნითვე დაენიშნათ დამნაშავეებს ინგლისელი ვექილებიო და ამას გარდა ერთი ინგლისელი მსაჯულებშიაც ურევიაო. ასე რომ არაბი და მისი მომხრენი ვერ იტყვიან, ჩუმად გაგვასამართლესო.

—

**ოსმალეთი.** ოსმალეთი ისე დასუსტებულია ამ ჟამად ყოველის მხრით, რომ მეტი იყო სწორედ მისთვის ეს აბეიდულლა თავის „შაიკით“; ეს ავაზაკი, რომელიც კარგი ხანია დაფარეშობს სპარსეთ-ოსმალეთის სამზღვრებზედ, მოსვენებას არ აძლევს არც ერთს და არც ამ სახელმწიფოთ. ამ დღეებში შეტაკება მოსვლია ერთ ფაშას აბეიდულასთან. ფაშას მოუკლეს 200 კაცი მეომარი.—ახლა ტელეგრამმებიდან სჩანს, რომ აბეიდულლა შერიგებია ხონთქარსა და შეელი დაუტევებია ოსმალეთში ძველად, რომ მოსვენებით იქნება და თვითონ კი მოსულეში გადასულა.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ზაზაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ზაზაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ზაზაევი—ძარღვების სისუს-ავადმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ზაზაევი—ძარღვების ავადმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ზაზაევი—ძარღვების სისუსტის ავადმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ზაზაევი—ძარღ. ს სუსტის ავადმყოფობისა.


# განცხადებანი

—

მე 19 და 7 მუხლის ძალით ქუთაისის **გიმნაზიის მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების** წესდებისა განმკარგულებელს კომიტეტს ამა საზოგადოებისა პატივი აქვს სთხოვოს გ.გ. წევრთ საზოგადოებისა და აგრეთვე ყველას, მსურველს წევრად ჩაწერისა, მობრძანდნენ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზედ, 31 ოქტ. ამა 1882 წ. გიმნაზიის სხდგომში, დღის 11 საათზედ. (3—2)

ქალაქის

## გამგეობისაგან

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ 28-ს ამა ოქტომბერს დანიშნულია ის ვაჭრობა, რომელიც 21 არ მოხდა, იჯარით გაცემაზედ შემდეგ საგანთა: 1) საქალაქო სასწორებიდან გადასახადი, 2) ავლაბრის დაჩა გაჯის ამოსაღებად—ზომით 237½ დესეტ. მსურველთ ვაჭრობისა შეუძლიანთ დაწვრილებითი პირობანი მუდამ დღე 2 საათ. ნაშუადღევისა, შეიტყონ ქალაქის გამგეობაში. (3—3)

**უმაწვილი ქალი,** რომელმაც კარგათ იცის ყოველი ხელ საქმე როგორათაც ხელით, ისეთაც მაშინით, **ეძებს ალაგს მკერავათ პატიოსან სახლში თვეობით.** ადრესი გაბაშვილის სახლში, ვერაზედ № 4 (8—6)

**ღირსეულს და განათლებულს** ოჯახში მიიღებენ ქალებს საქალებო სასწავლებლებში მოსამზადებლად.

პირობების შეტყობა შეიძლება ვორში, ბატ. დირექტორ სემენოვის ოჯახში. (10—8)

სათავადაზნაურო ინსტიტუტში კურს დასრულებულს ჰსურს ამლიოს

**გაკვეთილები**

პირობების შეტყობა შეიძლება „დროების“ რედაქციაში. (10—3)

ახალი ქართული

## კარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი ყდიანის ერთი მანეთი.**

საწერი

## დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან. ტფილისი 1878 წ.

ფასი სამი კაპეიკი

საწერის ქაღალდისა შეიცავს თაბახზედ, შეიცავს ხუთს სავარჯიშოს მაგალითის: 1) ანბანის დედანს მხედრული ხელისას; 2, მაგალითს მხედრული ხელით წიგნის გზავნილისას; 3) ანბანის დედანს გზამთელი ხელისას; 4) დედანს (ეგიპტ მაგალითი) დედანს ხელით გამოწერილისათვის; 5) უმთავრესს სასულიერო მაგალითის გადაწერისას.

ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდთან და ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, ოკრუჟნოი სუდის ქვეშ.

ასის და მეტის ეგზემპლ. მსურველს შეუძლია შემდგენელისაგან დაიბაროს და გასაგზავნი ხარჯი არ დასჭირდება.

ინგლისის მაღაზიაში

თმის აღმ-
მაგარი



მაკ-მას-
ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—5)

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ). **ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

ადაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის **გაზეთის სააგენტოსა.**

ფასი ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

**ბატონიშვილის ალექსანდრეს-მის ირაკლის გარდაცვალებაზე,**

შეკრებილი და გამოცემული **ზ. ჭიჭინაძისაგან**

ფასი ხუთი შაური.


### ტაქსია

**საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ოქტომბრიდამ 15 ოქტომბრამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის „ | —1გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4½ კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |


## წმიდა სანთლის საწყობი დახურულ ბაზარში;

სადაც ისყიდება ყოველი გვარის წმიდა სანთელი თეთრი და ყვითელი მოსკოვის თავი ქარხნებისა. სხვა ქალაქებიდამ მსურველთ შეუძლიანთ მოიწერონ ამ ადრესით. *Тифлисъ, Григорію Павловичу Арешову.* შეიძლება საქონლის გამოგზავნა თუთუნოვების ანუ სხვ. კანტორით, პირობები შეიძლება გაიგოთ წერილით. (3—1)